ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში

სამხრეთ კავკასიის მე-8 მედიაკონფერენცია
პლურალიზმი და ინტერნეტის რეგულირება

თბილისი, საქართველო
20-21 ოქტომბერი, 2011

დეკლარაცია

2011 წლის 20 და 21 ოქტომბერს თბილისში, საქართველოში, ჩატარდა სამხრეთ კავკასიის მე-8 მედიაკონფერენცია, რომელიც ორგანიზებული იყო ეუთოს წარმომადგენლის მიერ მედიის თავისუფლების საკითხებში, ბაქოსა და ერევანში ეუთოს ოფისების მხარდაჭერით. წლების განმავლობაში სამხრეთ კავკასიის მედიაკონფერენცია გადაიქცა უნიკალურ ფორუმად, სადაც შეიძლება მედიასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა და აზერბაიჯანელ, ქართველ და სომეხ ჟურნალისტთა შორის თანამშრომლობის განხილვა.

ორდღიან კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო აზრბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის 70-ზე მეტ ჟურნალისტმა, ოფიციალურმა პირმა, პარლამენტის წევრმა, მედია ექსპერტმა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა.

კონფერენციის თემა იყო ინტერნეტის რეგულირება და პლურალიზმი მედიაში. მონაწილეებმა განიხილეს ინტერნეტის როლი პლურალიზმის

განვითარების საქმეში ეუთოს რეგიონში ზოგადად და სამხრეთ კავკასიაში კერძოდ, გააანალიზეს საერთაშორისო სტანდარტები და ამ სფეროში არსებული პრაქტიკა, შეაფასეს ის შესაძლებლობები, რასაც თვით-რეგულირების დამოუკიდებელი ორგანოები იძლევა ინტერნეტში პლურალიზმის სტიმულირებისთვის, გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილება და განიხილეს სამხრეთ კავკასიაში მედიის თავისუფლების სფეროში არსებული ვითარება.

კონფერენცია:

1. მიესალება იმ ფაქტს, რომ მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მედიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა აზერბაიჯანიდან, საქართველოდან და სომხეთიდან, აღიარეს რა მედიის სფეროში რეგიონული თანამშრომლობის მნიშვნელობა.

2. ინტერნეტში სამოქალაქო ჟურნალისტიკასა და ბლოგების წერას ცნობს მოქალაქეთა მიერ საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის ფორმად.

3. მოუწოდებს მთავრობებს, შექმნან ყველა საჭირო საკანონმდებლო და ტექნოლოგიური პირობა ინფორმაციის უფრო თავისუფლად და ფართოდ გავრცელებისათვის, მათ შორის ინფორმაციისა და კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

4. მოუწოდებს მთავრობებს, უზრუნველყონ, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ინტერნეტი დარჩეს ყველასათვის ხელმისაწვდომ, ღია და საჯარო ფორუმად აზრის თავისუფლად გამოხატვისთვის, რასაც მოითხოვს ეუთოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები და გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტითა და ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციით.

5. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა და ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უნდა ცნონ ეროვნულმა კანონმდებლობებმა და განახილონ ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების განუყოფელ ნაწილად.

6. აღნიშნავს, რომ ინტერნეტი გვთავაზობს უნიკალურ შესაძლებლობებს ინფორმაციის თავისუფალი გაცვლის წასახალისებლად, რაც ეუთოს წინაშე ნაკისრი ერთ-ერთი ფუნდამენტური ვალდებულებაა.

7. აღნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლება ეხება არა მხოლოდ კომუნიკაციის ტრადიციულ საშუალებებს, არამედ ახალ მედიასაც, მათ შორის ინტერნეტს. ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვა შედის საზოგადოებრივ ინტერესებში, აუცილებებლია დემოკრატიულ საზოგადოებაში, გათვალისწინებულია კანონით და არის პროპორციული.

8. მოუწოდებს მთავრობებს თავიდან აიცილონ ინტერნეტში განთავსებული რესურსების დაბლოკვა, როგორც ჩარევის საშუალება. დაბლოკვა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ის ხორციელდება საერთაშორისო წესებისა და სტანდარტების დაცვით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, გათვალისწინებულია კანონით და ემსახურება კანონიერ მიზნებს.

9. მოუწოდებს მთავრობებს სიტყვის თავისუფლებაზე შეზღუდვების დაწესებისას თავი აარიდონ ბუნდოვან ფორმულირებებს, უზრუნველყონ კანონების ღიად და გამჭვირვალედ განხორციელება და გაითვალისწინონ გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმები.

10. მოუწოდებს სამივე ქვეყნის მთავრობებს მხარი დაუჭირონ და წაახალისონ პლურალიზმი, თავი შეიკავონ მედიაზე ზეწოლისაგან და მისი მონოპოლიზირებისაგან.

11. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მედიის პლურალიზმი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფასეულობას და დემოკრატიული საზოგადოების არსებობის ერთ-ერთ ძირითად პირობას, რომელშიც ინტერნეტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

12. მოუწოდებს მთავრობებს, ხელი შეუწყონ იაფი და მაღალხარისხიანი ინტერნეტის განვითარებას და ინტერნეტის სერვისის მიმწოდებლებს (პროვაიდერებს) შორის შექმნან ჯანსაღი კონკურენციის წამახალისებელი პირობები იმისათვის, რათა ყველა მოქალაქეს, მათ შორის სოფლად და მოშორებულ რეგიონებში მცხოვრებთ, ხელი მიუწვდებოდეთ ინტერნეტზე.

13. აღნიშნავს, რომ პროვაიდერებს არ უნდა დაუწესდეთ დამატებითი შეზღუდვები იმის გარდა, რაც გათვალისწინებულია ნებისმიერი სხვა სამეწარმეო საქმიანობისთვის. პროვაიდერები ასევე არ უნდა აგებდნენ პასუხს მათ მიერ გავრცელებული იმ კონტენტისთვის, რომელიც წარმოებულია სხვების მიერ, თუ ისინი არ ცვლიან კონტენტს ან არ ასრულებენ სასამართლოს გადაწყვეტილებას უკანონო კონტენტის წაშლის შესახებ.

14. აღნიშნავს, რომ დაცული უნდა იყოს ქსელის ნეიტრალურობის პრინციპი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაცია და ტრაფიკი ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლებისთვის მიუხედავად მათ მიერ გამოყენებული ტექნიკისა, კონტენტის ტიპისა, ავტორისა, შექმნის ადგილისა თუ დანიშნულებისა.

15. მოუწოდებს მთავრობებს, უზრუნველყონ პროვაიდერების მიერ ქსელის ნეიტრალურობის პრინციპის დაცვა და მონაცემთა გადაცემის მართვის პოლიტიკის გამჭვირვალობა.

16. მოუწოდებს მთავრობებს, ინტერნეტის რეგულირების პოლიტიკის შემუშავებისას კონსულტაციები გამართოს და მუშაობაში ჩართოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.